№ 51

სამშაბათი, 9 მარტი, 1899 წ.

1877—1899

# ივერია

№ 51

სამშაბათი, 9 მარტი, 1899 წ.

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

**ქუთაისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოების გამგეობა** პატივის-ცემით აცხადებს, რომ ამა მარტის ოცდა რვას, საღამოს შვიდს საათზე, დანიშნულია ამა საზოგადოების წევრთა საყოველთაო კრება.

ამა კრების გასარჩევად დანიშნულია შემდეგი საქმეები:

1) განხილვა და დამტკიცება ანგარიშისა საზოგადოების ოპერაციებზედ წარსულის 1898 წლის განმავლობაში და დამტკიცება მოგების განაწილებისა.

2) დანიშვნა რიგისა და ზომის იმ გასამრჯელოსათვის, რომელიც უნდა მიეცეს მმართველობაში მოსამსახურეთ.

3) განხილვა და დამტკიცება ხარჯთ-აღრიცხვისა 1899 წლისათვის.

4) მოხსენება გამგეობისა საზოგადოების ახალის შენობისა და მაზედ დახარჯულის ფულის შესახებ.

და 5) არჩევა წესდების თანახმად იმათ ნაცვლად, რომელთაც ვადა გასდით: რჩევის ორი დეპუტატისა, გამგეობის დირექტორისა და აგრეთვე სარევიზიო კომისიის წევრებისა და ამ უკანასკნელთა კანდიდატებისა და სხვა თანამდებობის პირთა, თუ რომ ეს საჭირო აღმოჩნდა.

როგორც წერილები, ისე ვექილობები უნდა მიუვიდეს საზოგადოების გამგეობას კრებამდის სამის დღით ადრე მაინც. (1—6.—1).

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

გ. მ ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი.—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

ი. თ. პრიტასკევიჩი—12—1 საათ. ყურის, ყელის, ცხვირის და გულის ავადმყოფ.

ა. შ. კარაშეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. გ. გურკო. 1½—2½ ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

გ. მ. მახვილაძე.—5—6 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

ა. ნ. მშაკოვსკი—6—7 საათ. ნერვების (ელექტროტერაპია), ვენერიული და კანის სნეულებ.

ბ. ა. ნავასარდიანი—6½—7 საათ.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

(—1—წ)

## საჭიროა კასირი

ადრესი: „**შუამავალი**" კუთხე ბარონისა და ბაზრის ქუჩისა, სახლი თ. მუხრან-ბატონისა. ( —6.—1)

### მთავრობის განკარგულებანი

გადაყვანილ იქმნა ოსის სამაზრო ხაზინის კანცელარიის მოხელე ზაქარია საყვარელიძე—ტფილისის სახაზინო პალატაში.

გამწესებულ იქმნა ზაპასში მყოფი პორუჩიკი თავადი ვაჩნაძე—ჩერნომორსკის ქვეითა ჯარის მე-149 რაზმში.

დათხოვნილ იქმნა თანამდებობიდგან თავისისავე თხოვნით ავადმყოფობისა გამო ბორჩალოს მაზრის ეკატერინენფელდის ბოქაული თავადი გასილ თარხან-მოურავი.

## ახალი ამბავი

*** გაზ. „ახ. მიმ."-ს სოხუმიდგან დეპეშით ატყობინებენ: დღეს, 6 მარტს, მოხდა ქალაქის ხმოსნების არჩევანები. არჩეულ იქმნა სულ 38 ხმოსანი; ამათგან 26 ქართველია, 7 რუსი და 5 ბერძენი.

*** სახლის პატრონმა წურინოვმა გუშინ, 8 მარტს, შეატყობინა ქალაქის გამგეობას, რომ მზადა ვარ დაუთმო სრულიად უსასყიდლოდ სადგური ჩემს სახლში პუშკინის ქუჩაზე სახალხო ბიბლიოთეკა-სამკითხველოს, რომლის დაარსების განზრახვა აქვს ქალაქს რუსეთის პოეტის პუშკინის პატივსაცემლად.

*** გუშინ, 8 მარტს, კავკასიის სამხედრო ოლქის ინჟენერთა უფროსმა შეატყობინა ტფილისის ქალაქის გამგეობას, რომ 1900 წლიდგან ტფილისის გარნიზონის ჯარი საბანაკოდ იდგება სოფ. ორხევის მახლობლად. რადგანაც ამ ადგილას ჯარისათვის კარგი სასმელი წყალი არ იქმნება, ამიტომ კავკასიის მთავარმართებლის ბძანებით, ქალაქის გამგეობამ სოფ. ორხევამდე უნდა გაიყვანოს წყლის მილი საინჟენერო უწყების ფულით. ეს საგანი ამ დღეებში მოხსენდება ქალაქის გამგეობას.

*** ქ. განჯიდგან გვატყობინებენ, რომ 7 მარტს ქალაქ განჯიდგან ექვსის ვერსის მანძილზედ ავაზაკებმა მძიმედ დასჭრეს ბოქაული ჩიქოვანი და მოჰკლეს ტყის დარაჯი. ავაზაკების შესაპყრობად ასი ყაზახი გაჰგზავნესო.

*** არჩევანები ტფილისის ვაჭართა მამასახლისისა და იმის ამხანაგებისა დანიშნულია 21 მარტისათვის. არჩევანები მოხდება საბჭოს დარბაზში.

*** 6 მარტს, ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის მე-2 განყოფილების სესსია, რომელიც შესდგება სასამართლოს წევრების ი. ა. პარჩევსკისა, ბ. თ. პადალკოსა და ბრალმდებლის ამხანაგის ზ. ლ. დობროვოლსკისაგან, თიონეთში წავიდა საქმეების განსახილველად. სესსია თიონეთში 20 მარტამდე დაჰყოფს. იმავე სასამართლოს პირველ განყოფილების სესსია, რომელიც შესდგება ოლქის სასამართლოს წევრების ე. ვ. ჩემესოვისა, დ. ე. ჩერნიკისა და ბრალმდებელის ამხანაგის ე. ს. ჯალალოვისაგან, 7 მარტს ქ. გორში წავიდა. ამ სესსიამ უნდა განიხილოს 22 სისხლის და 42 სააპელაციო საქმე.

*** ფინანსთა სამინისტრომ დაამტკიცა წესდება ნავთის-მწარმოებელის სააქციონერო საზოგადოებისა, რომელიც ტფილისში არსდება.

*** კვირას, 7 მარტს, ბავშვებისათვის მზრუნველმა საზოგადოებამ დაარსა ნავთლუღში მეორე უფასო სასადილო.

*** ამ რამდენისამე ხნის წინად ამიერ-კავკასიის რკინის გზის ტფილისის დეპოში მოსამსახურეთ, 34 კაცმა, მიჰმართეს კავკასიის მთავარმართებელს და სთხოვეს, მოგვიზომეთ სახელოსნოების მახლობლად ქალაქის მიწის ნაჭერი სახლების ასაშენებლად იმ პირობით, რომ ამ მიწის გამოსყიდვის ნება გვქონდესო. ეს თხოვნა ტფილისის ქალაქის მოურავს გარდაეცა.

*** გადმოსახლებულ რუსთა დამხმარებელმა საზოგადოებამ მიჰმართა სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკის ამიერ-კავკასიის განყოფილებას და სთხოვა მოგვყიდეთ თავ. ა. ო. ჩოლოყაშვილის მამულის ნაწილი თიონეთის მაზრაში, რომელიც უკანასკნელ საჯარო ვაჭრობის დროს ბანკს დარჩაო.

*** გაზ. „კავკას"-ს სწერენ სიღნაღის მაზრის სოფ. ოზაანიდგან, რომ ამ სოფელში, ადგილობრივის მღვდლის იოსებ ჰაშვილის მეცადინეობით, დაარსებულ იქმნა სასწავლებელიო. სასწავლებელში ჯერ-ჯერობით 25 ბავშვი შესულა.

*** იმავე გაზეთის სიტყვით, აზრადა აქვთ ოზურგეთში დააარსონ ადგილობრივ დედათა სასწავლებლის და ოზურგეთის მაზრის სხვა სასწავლებლების შეუძლებელ მოსწავლეთა დამხმარებელი საზოგადოება. წესდების პროექტი უკვე შეუმუშავებიათ და წარუდგენიათ უმაღლეს მთავრობისათვის დასამტკიცებლად.

*** როგორც „ტფ. ფურ."-ი იუწყება, ტფილისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა გამგეობაში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ გადმოსახლებულ იქმნან სიღნაღის მაზრაში ყარაიაზიდგან შემდეგის ოთხის სოფლის საზოგადოების მცხოვრებელნი: პირველ შიხილისა, მეორე შიხილისა, ქვემო სალ-ოღ-

## ფელეტონი

### კავკასიის შესახებ ლაპარაკი მოსკოვში

კავკასიის შესახებ ლაპარაკს დღეს ყველგან ბევრს გაიგონებთ, ნაწერებსაც ბევრს იპოვნით უცხო და რუსულ ენაზედ, მაგრამ ყველა ამ თქმულება-ნაწერებ შორის ძალიან ცოტას შეხვდებით გულდასმით, მეცნიერულად დასაბუთებულ აზრებს. თითო-ოროლა სინიდისიერ მკვლევარისა, როგორიცაა, მაგალითებრ, მ. კოვალევსკი, რომელსაც ორი დიდი ტომი აქვს დაწერილი კავკასიის შესახებ *) და სხვა თვისს სოციოლოგიურ გამოკვლევებსაც ასაბუთებს კავკასიის ხალხთა ზნე-ჩვეულებით, და რამდენისამე რუსთა მკვლევარის შესახებ, რასაკვირველია, ჩვენ მადლობის მეტი არა გვეთქმის, თუმცა ხშირად, არც ამას უცხადებს იმათ ვინმე. მაგრამ, გარდა ამგვარ მეცნიერულ მკვლევარებისა, არიან მრავალნი გზათ გამვლელნი ჩვენი ქვეყნის უცხო მკვლევარნი, რომელთაც მოენატრებათ თუ არა კავკასიის ნახვა, განაცხადებენ რომელსამე სამეცნიერო საზოგადოებაში, რომ ამ ქვეყნის შესწავლა გვსურს და დახმარება აღმოგვიჩინეთო. რასაკვირველია, თუ ამგვარ საზოგადოებას საშუალება აქვს, გადაუდებენ წილს და თუ არა და, მისს კეთილსავე შესრულებას უსურვებენ და გზა დალოცვილს გამოისტუმრებენ ამ გვარ ცნობის მოყვარეს. ისიც მოდის და მოადგება შავის ზღვით ბათუმს, ან ფოთს, ან კავკავიდგან სვანეთის სამხედრო გზით რიონის ხეობას დაათვალიერებს გზად (ე. ი. ან ეტლში, ან ცხენზედ მჯდომი) და ქუთაისს ესტუმრება, ან კიდევ დარიალის ხეობით ჩამოვა ტფილისში. კახეთში აღარ წავა, რადგან გაიგებს, რომ იქ რკინის გზა არ მიდის და აბა ამ გვარი უცხო ინტელიგენტი იქაურ ჯაყჯაყა „ტროიკით" მოგზაურობით რისთვის შეიწუხებს თავს. შემდეგ ჰნახავს განჯას და, თუ ბაქოს სახელიც გაგონილი აქვს, იქით კენ მოისურვებს წასვლას, მაგრამ როცა გაიგებს, რომ იქ წასვლა არა ღირს, რადგან იქაური ბუნება არაფრით მიმზიდველი და საინტერესო არ არის, გარდა ნავთისო, მაშინ იგი პირს ისევ ქალაქისაკენ იბრუნებს...

მერე რაო, იკითხავთ თქვენ, ასე ხომ ყოველი ჩვენგანი ჰმოგზაურობს, მაგრამ იმას ვინა ჰკითხულობს? მერე ის, რომ ჩვენ შეიძლება ბევრი გვევლოს, შეიძლება ბევრიც ვიცოდეთ ჩვენის ქვეყნის ავ-კარგი (თუმცა, სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყნის ჯეროვანად მცოდნენი და ამ ცოდნის გამომქვეყნებელნი ძალიან და ძალიან ცოტანი სჩანან), მაგრამ ეს უცხო, რაც უნდა დილეტანტი იყოს, მაინც უფრო მიიპყრობს ყურადღებას. დასასრულ ამგვარნი მკვლევარნი დასწერენ თავისს მოგონება-შთაბეჭდილებათ, რომელნიც უმეტესად ცალმხრივია იმ ნაწილში მაინც, სადაც ისინი ხალხის ზნე ჩვეულებას შეეხებიან, და ასე, ამრიგად, ირიცხებიან კავკასიის მკვლევართა რიცხვში.

ჩვენც, რასაკვირველია, ჩვენებურად, ძველებურად ყოველ ამგვარ უცხო სტუმრებს, თუ-კი გავიგეთ იმათი ჩვენს ქვეყანაში ჩამოსვლა, სადილებს გავუმართავთ და მრავალჟამიერის სიმღერით და კრახუნა კახურის დაძალებით ვაცნობთ ჩვენ თავს და თან სიტყვის შესხმით ვისტუმრებთ იქ, საიდგანაც მოსულა. რა თქმა უნდა, ბევრი ამგვარ შთაბეჭდილებით წასული მგზავრი კარგ კომპლიმენტებს იტყვის და დასწერს ჩვენის ქვეყნის შესახებ; მაგრამ ვაი რომ ხშირად ამგვარ მოგზაურებს ან გამყოლები აწყენინებენ რასმე, ან ცხენს და ეტლს ვერ იშოვის სადგურებზედ, ხან ისიც მოხდება, რომ ვინმე კიდეც გაჰქურდავს, სცემს და სხ. და ისიც, იცოცხლეთ, მოჰყვება კავკასიის გინებას, ლანძღვას: იქ ყველა ქურდები და ყაჩაღები არიან, გაუნათლებელნიო და სხ. ჩვენი ქვეყნის ასეთ მკვლევარებით საკმაოდ მდიდრები ვართ და იმათ ცუდ-მხრივს ნაწერებს ყოველგან ბევრს შეხვდებით. მათ ადგილობრივ ჟურნალ-გაზეთებშიაც მოუკალათებიათ თავი და ხმა-მაღლა გაიძახიან ჩვენის ქვეყნის საჭიროებისა და იმისის დაკმაყოფილების შესახებ, თუმცა ისინი თავისს ლაღადისში იმდენად გულ წრფელნი და საქმის მცოდნენი არიან, რამდენადაც ყოველი რეპორტიორი ამა თუ იმ ორგანოსი, და თუ სწერენ, მხოლოდ იმიტომ, რომ უმაღლესად ყურადღება დაიმსახურონ და ან კიდევ ლიბერალურ აზრების ორჭოფულად ქადაგებით თხა და მგელი ერთად აძოვონ, რათა საზოგადოების ყურადღება მიიპყრონ. ამ ბოლო დროს ერთმა ადგილობრივ ორგანოთაგანმა სიტყვით ცრუპენტელაობა რომ აღარ იკმარა კავკასიის შესახებ, ახლა ამ ცრუპენტელაობის დასურათ ხატებასაც ხელი მიჰყო და ამ რიგად ჰსურს თვისი დამპალი საქონელი ნილაბ ქვეშ ამოფარებით გაასაღოს. კავკასიის მკვლევართა ამ გვარ ნაკლულევანების აღნუსხვის შემდეგ ყველასათვის ცხადია, თუ რაა ჩვენთვის დღეს დღეობით საჭირო, რათა ეს ნაკლი შეივსოს. საჭიროა ადგილობრივნი მუშაკნი ამ სფეროში, რომ სასურველად დაგვირგვინდეს ზემოთ დახასიათებულ მკვლევართა ჩვენის ქვეყ-

*) Законъ и обычай на Кавказѣ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლისა და ზემო სალ ოლლისა. აზრად აქვთ მათ ადგილები შირაქის ველში მისცენ.

*** „ახ. მიმ.“-ს პეტერბურგიდგან ატყობინებენ: მიწად-მოქმედების და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ დაარსებულ იქმნას საერთოდ რუსეთში და კერძოდ კავკასიაში რაც შეიძლება მეტი დაბალი სასოფლო სამეურნეო სასწავლებელი.

*** იმავე გაზეთის სიტყვით უმაღლესს მრავრობას წარედგინა პროექტი ამიერ-კავკასიაში საკონტროლო დაწესებულებათა გადაკეთების შესახებ.

*** ქუთაისი. ზუგდიდის მაზრის თავად-აზნაურობამ ამოირჩია ბანკის წარმომადგენლებად 4 მარტს.

| | თ. | შ. |
|---|---|---|
| თ. დადიანი გ. ნიკ. | 28— | „ |
| თ. აფაქიძე მიხ- ლევ. | 23— | 6 |
| ალშიბაია ერ. ზოს. | 23— | 5 |
| თ. ჩიჩუა კონ. ნიკ. | 23— | 5, |
| მეუნარგია იონა მიხ | 21— | 5, |
| გვათუა გიორგი | 24— | 3, |
| ხორავა ნიკ. პეტ. | 22— | 5, |
| თ. აბაშიძე ივ. (კიტა) | 25— | 2, |
| ჟვანია დიმიტრი. | 24— | 4, |
| ანთელავა ჩ. ალ. | 21— | 5, |
| თ. მხეიძე ელ. ბეჟ. | 22— | 7, |
| თ. დადიანი ი. ივლ | 23— | 5, |
| თ. ჩიჩუა დეის. მიხ. | 24— | 4, |
| თ. აფაქიძე პლატონ. | 28,— | „ |
| თ. დადიანი პ. ალ, | 20— | 7, |

კანდიდატებად ამოირჩიეს:

| | | |
|---|---|---|
| თ. ანჩაბაძე გრ. მ. | 20— | 8, |
| თ. დადიანი ტ. ნ. | 19— | 9, |

უმაღლესის წოდების წარმომადგენელად ზუგდიდის მაზრამ ამოირჩია: თ. გრ. კ. დადიანი, ლეჩხუმის მაზრამ ერთ-ხმად თ. ი. დ. გელოვანი და სენაკის მაზრამ თ. ბესარ. გრ. მხეიძე.

*** ს. დიდი ჯიხაიში, (ქუთაისის მაზრა). აგერ მეორე წელიწადია, რაც ამ სოფლიდგან ხონამდე გზა მეტად გაფუჭებულია, მუხლამდის ტალახი სდგას, — მაგრამ ყურადღებას არ აქცევს არც ბოქაული და არც მამასახლისი.

*** სოფ. ნაბითი-ქრისტიანი, (კავკავის მაზრა). თებერვლის შუა რიცხვებში ამ სოფელში მცხოვრებთ შეშა მოჰქონდათ ტყიდგან. გზაში დაუხვდნენ ქისტები, ექვსი ცხენი წაართვეს, თვით პატრონებს მათრახით თავ-პირი დაუსივეს, გაირეკეს ცხენები და გაუდგნენ გზას. ცხენების პატრონებმა აცნობეს სოფელს; სოფლიდგან მდევარი გამოუდგა ქურდ-მძარცველებს. მდევარს არდონის სოფლელებიც მოეშველნენ და ცხენების კვალი ტოის სოფელში მიიტანეს.

*** ამას წინად ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელი შეეკითხა ქალაქის გამგეობას, რა წესით იქმნენ არჩეულნი ქალაქის ხმოსნები ბ-ნნი ივანენკო და ტიგრანოვი საბჭოს აღმასრულებელ კომისიის წევრებადაო. გამგეობამ აცნობა, რომ ეს ხმოსნები არჩეულ იქმნენ ფეხზედ ადგომითაო.

*** გუირას, 7 მარტს, ტფილისში მკვლელობა მოხდა. მოჰკლეს პოლიციელი ვასილ ტარასოვი. ამ დღეს, დილის $4^1/_2$ საათზედ, პოლიციელს ტარასოვს ბოტანიკისა და კრასილნის ქუჩების კუთხეში, ამირ მაშადი ოღლის დუქნის ჩაკეტილ კარების ჭუჭრუტანიდგან დაუნახავს რა ამ დუქანში სინათლე, შიგ შესულა სწორედ იმ დროს, როდესაც ვიღაც კაცები ორის ტომრით სავსე ნაქურდალის ნივთებით წასვლას აპირებდნენ. დუქანთან არხეინად ემინა თურმე 14 წლის უმაწვილს, რომელსაც ქურდებისა ვერაფერი გაუგია. ქურდებს ჩხუბი დაუწყვიათ პოლიციელისათვის, რომლის დროს ერთს ქურდთაგანს ტარასოვი სასიკვდილოდ დაუჭრია ხანჯლით მუცელსა, მკერდსა და თავში. ტარასოვი იქვე დაცემულა, ხოლო ქურდები გაქცეულან. ხმაურობაზედ შეკრებილ ხალხს დაუნახავს დასისხლიანებული და გონება წასული ტარასოვი. დაჭრილი მახლობლის საავადმყოფოში წაუყვანიათ, მაგრამ სამი საათის შემდეგ გარდაცვლილა. რადგანაც დაჭრილს ვერაფერი უთქვამს, პოლიციას იმ ადგილის ახლო-მახლო, სადაც მკვლელობა მოხდა, შეუპყრია რამდენიმე საეჭვო კაცი. შემდეგ ბოქაული გლებოვი, იმისი თანაშემწე, მე-6 ნაწილის უფროსი პოლიციის მოხელენი და 4 ცხენოსანი ყაზახი, პოლიცმეისტერის თანაშემწის ბ-ნ კოვალევის მეთაურობით, კრწანისის ბაღებისაკენ წასულან დამნაშავეების საპოვნელად. გარკვეული ხნის ძებნის შემდეგ, დილის 11 საათზედ, დაუნახავთ მათ ერთ გორაკთან ვიღაც კაცი. რაწამს ამ უცნობს თვალი მოუკრავს ყაზახებისა და პოლიციელებისათვის, მაშინვე წამომხტარა და გაქცეულა. პოლიციელს კას. ლიაპინს თოფი ორჯელ უსროლია, მაგრამ ვერც ერთხელ ვერ მოურტყამს ტყვია. უცნობი ღობეზედ გადამხტარა და სააკოვის ბაღში გადასულა. აქ მას დაეწევია პოლიციის მოხელე ჩიკვაიძე. უცნობს მოუწადინია ხანჯლის ამოღება და დარტყმა, მაგრამ ჩიკვაიძეს ხელები მოუგრეხნია იმისათვის და შეუპყრია. როგორც ხანჯალი, აგრეთვე შეპყრობილის ტანისამოსი სისხლიანი აღმოჩნდა. როდესაც მე-6 პოლიციის გამგეობაში მიიყვანეს, გამომძიებელთან გამოტყდა, რომ ტარასოვი მე დავჭრიო; ამასთან დაასახელა ვინმე შავილატოვი, რომელსაც იმასთან ერთად ქურდობაში მონაწილეობა მიუღია. შავილატოვი დილასვე შეეპყრო პოლიციას. დამნაშავე ბორჩალოელი თათარი ყოფილა, გვარად ასან-ალა ასტან-ალა ოღლი ბაირამოვი. რამდენჯერმე ბაირამოვს წინად ქურდობა ჰბრალდებოდა თურმე.

იმავე დღეს, ამ მკვლელობაზედ ცოტა ადრე, გაუქურდიათ ნიკ. ჩიკვაიძის დუქანი, საიდგანაც წაუღიათ 3 თავი შაქარი, 4 გირვანქა ჩაი და 35 მანეთი ფულად, სულ 65 მანეთისა. პოლიცია დარწმუნებულია, რომ ეს ქურდობაც, ბაირამოვისა და შავილატოვის ჩადენილია, თუმცა მათ, როდესაც ჰკითხეს, უარი განუცხადებიათ, ეს დუქანი ჩვენ არ გაგვიქურდავსო. („Нов. Обоз.“)

*** ამ რამდენისამე ხნის წინად, ადგილობრივი რუსული გაზეთები სწერდნენ, რომ ვიღაც ხმიადოვი მტკვარში გორისა და მცხეთას შუა დინამიტის შემწეობით თევზს იჭერსო. ეხლა „Вѣст. Рыбопр.“-ში დაბეჭდილია კორესპონდენცია ნ. ნ. ვაგულოვსკისა, რომელიც სწერს, რომ ხმიადოვი უმოწყალოდ ჟლეტავს დინამიტის შემწეობით თევზსაო. დახოცილი თევზი ბევრი წყალს მიაქვს, ბევრსაც ნაპირზედ გამორიყავს ხოლმე. საჭიროა ამგვარობას ყურადღება მიექცესო.

*** პირველ-დაწყებით სასწავლებლის მასწავლებლობის მოწმობა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველისაგან ამ ბოლოს დროს, სხვათა შორის, მიიღო ტფილისის წმ. ნინოს დედათა სასწავლებელში სწავლა-დამთავრებულმა ოლღა ნიკოლოზის ასულმა ჩაჩიკოვისამ.

*** 4 მარტს, საღამოს 5 საათზედ, ქუთაისში, რკინის გზის სადგურზედ, უეცრად გარდაიცვალა მღვდელი მაკალათია.

## წერილი გორიდგან

ჩვენში არც ერთი ქალაქი არ არის თავისს საქმეებზედ ისე ყურ-წაგდებული, როგორც ქართლის შუა ქალაქი გორი. ამ ქალაქში თითქმის ათი ათასზედ მეტი მცხოვრებელია: რუსი, ქართველი და სომეხი, მაგრამ აქ არც წიგნთ-საცავი არის და არც სამკითხველო. პატარა მიყრუებულ სოფლებსაც-კი აქვს ეხლა სამკითხველო-წიგნთ საცავი, მაგრამ გორშიკი არავინ არ ჰფიქრობს ამისათვის. საკვირაო სკოლა და სახალხო კითხვები ხომ სიზმარშიაც არ უნახავს აქაურ ხალხს. კვირა-უქმე დღეებში აქაური მუშა და ხელოსანი ხალხი ერთობა კოჭის თამაშობითა და ლოთობით. სადაც უნდა გაიაროთ გორის ქუჩაზედ, უთუოდ შეხვდებით რამდენიმე მუშისა და ხელოსნის გროვას, რომელნიც განუწყვეტლივ თამაშობენ კოჭს და შრომით ნაშოვარ ორიოდე გროშს აგებენ. ლოთობა ხომ ძლიერ გახშირებულია აქაურ სამიკითნოებში და ამ ლოთობის შედეგიც — ჩხუბი და ერთიმეორის თავ-პირის მტვრევა მალ-მალე არღვევს მიძინებულ მცხოვრებლების მყუდროებას. რაღა თქმა უნდა, დიდი სარგებლობა შეუძლიან მოუტანოს ამ ხალხს საკვირაო სკოლამ და სახალხო კითხვებმა. იმის გარდა, რომ მრავალი წერა-კითხვის უცოდინარი ისწავლის ამ სკოლაში, ეს სკოლა დიდ გავლენას იქონიებს ხალხის ზნეობაზედაც. ყველგან, სადაც-კი არის საკვირაო სკოლა და სახალხო კითხვები, ბევრია მსურველი სწავლისა და, უეჭველია, აქაც ბევრი აღმოჩნდება. წიგნთ საცავი და სამკითხველო რომ ბევრ ხალხს მიიზიდავს, ეს ყოველსავე ეჭვს გარეშეა, მაგრამ ვინ არის ისეთი, რომ ამაებისათვის იზრუნოს.

გორში არის ოთხ კლასიანი სასულიერო სასწავლებელი, ოთხ-კლასიანი სამოქალაქო სასწავლებელი, საოსტატო სემინარია და ქალების პროგიმნაზია. სულ უკანასკნელი რომ ვთქვათ, ორმოცამდე მასწავლებელი იქმნება ყველა სასწავლებელში. ესენი ადვილად მოახერხებენ საკვირაო სკოლის დაარსებას და სახალხო კითხვების გამართვას; საჭიროა მხოლოდ მეთაური და ერთმანეთის თანხმობა.

რაც შეეხება წიგნთ-საცავ-სამკითხველოს, ეს დაწესებულება თვით ინტელიგენციისათვისაც დიდს საჭიროებას შეადგენს. აქ ძლიერ ცოტა არის ისეთი ინტელიგენტი, რომელსაც საკუთარი გაზეთი ან ჟურნალი მოსდიოდეს, და ან აქაურ კლუბში წევრად ჩაეწეროს და თორმეტი მანეთი იხადოს წელიწადში. უმეტესი ნაწილი უგაზეთოდ არის და ხეირიან წიგნსაც ვერა ჰშოულობს წასაკითხად. ეს საქმე უნდა ითავოს ქალაქის თვით მართველობამ სხვა ქალაქების მსგავსად. საჭიროა მხოლოდ დაიწყოს საქმე და დამხმარებელი ბევრი აღმოუჩნდება.

ს. რ.

# რუსეთი

„Рус. Вѣд.“ იუწყება, რომ მიწად-მოქმედების სამინისტრომ გარდასწყვიტა გადასდოს 10,000 მანეთი ისეთის პრაქტიკულის სკოლების შესანახად, სადაც სოფლის მუშებს შეეძლოთ სწავლაო.

— პეტერბურგში ამ ახლო მომავალს დაარსებენ კერძო სასწავლებელს ყრუ-მუნჯ ქალებისათვის.

— კბილის ექიმთა და დანტისტთა კრება დაიწყება პეტერბურგში 10 ივლის და გასტანს 15 ივლისამდე.

— როგორც „Пров. Вѣст.“-ში დაბეჭდილის ანგარიშიდგან სჩანს, 1898 წელს მთელს რუსეთში სამხედრო ბეგარის გარდასახდელად გაუწვევიათ სულ 953,195 კაცი, ამათგან მიუღიათ ჯარის კაცად 284,583 კაცი.

---

ნის გარშემო ტრიალი, საჭიროა ამ გვარ მუშაკთა დახმარება და მომზადება. ეს კი თუ დღემდე საჭირო იყო, დღეს ამ გვარი საჭიროება ორკეცდება, რადგან ამას მოითხოვს ჩვენის ცხოვრების გამრავალკეცება..

ამ წინასიტყვაობის შემდეგ დავუბრუნდეთ ამ წერილის გამომწვევს საგანს. ბევრს ეცოდინება და უეჭველია, არა, რომ მოსკოვში სხვა და სხვა სამეცნიერო დაწესებულებათა შორის საპოლიტეხნიკო და ისტორიულს მუზეუმებს უპირველესი ადგილი უჭირავს თავისის მნიშვნელობით. ამათ აქვთ მრავალი განყოფილებანი, სადაც თითქმის ყოველდღე ერთ-ერთ მათგანში ჰკითხულობენ სამეცნიერო გამოკვლევათ, მოხსენებათა და ლექციებს, რომლების შემდეგ დამსწრენი თავისს აზრს უზიარებენ ერთმანერთ აღძრულ საგნების შესახებ. ერთ ამგვარ სამეცნიერო განყოფილებაში ამას წინად კავკასიის შესახებაც წაიკითხა რეფერატი ჩვენმა ახალგაზდა მკვლევარმა ბ-ნ ალ. ხახანაშვილმა. ამ ხელად მისი ყურადღება მიუპყრია ბ-ნ იანოვსკის „ანგარიშს“ კავკასიის სწავლა-განათლების შესახებ. ამ რეფერატისა და „ანგარიშის“ გამო ლაპარაკს ახლა აღარ ვკისრულობთ, რადგან მოკლედ მას თითქმის ყველა ადგილობრივ ჟურნალ-გაზეთებიდგან იცნობს მკითხველი და ვრცლად აქ ლაპარაკი მოუხერხებელია. გარდა ამისა, ეს რეფერატი ამ დღეებში დაისტამბება ერთ-ერთ აქაურს გაზეთშიაც.

მესამე სამეცნიერო დაწესებულებას მოსკოვისას ეკუთვნის „Императорское Русское Общество Акклиматизаціи животныхъ и растеній“, რომელსაც, ამ სახელწოდების მიხედვით, 25 სხვა და სხვა განყოფილება აქვს. ერთ ამ გვარ, სახელდობრ, ფლორისტიულ განყოფილებაში 26 იანვარს წაიკითხა რეფერატი ფარმაციის მაგისტრანტმა ბ-ნმა ივ. ტყეშელაშვილმა 1897 წ. კავკასიაში საბოტანიკო აზრით მოგზაურობის შესახებ.

1897 წ. ფლორისტიულ განყოფილებას დაუდგენია ბ-ნ ტყეშელაშვილისათვის დახმარება აღმოეჩინა კავკასიაში მოგზაურობისათვის. ამ აზრით ის რვა კაცთან ერთად (ორი მოსკოვის უნივერსიტეტის საბოტანიკო ნაწილის ლაბორანტია, ოთხი სტუდენტი ბუნების მეტყველი და ერთიც ჰოლანდიელი გიუნგერი) გამომგზავრებულა კავკასიაში და აი, ამ მოგზაურობის ანგარიში წარმოუდგინა მან დღეს ამ საზოგადოების განყოფილების წევრთ. რეფერენტმა თავისის მოგზაურობის აღწერას წარუმგზავრა მოკლე წინასიტყვაობა საზოგადოდ კავკასიის ბუნების სიდიადის შესახებ და ამ ბუნების მკვლევართა ისტორია. კავკასიამ, დაიწყო მან, თავისის უდიდესი მთის მწვერვალებით, თავისის ორ ზღვას შუა მდებარეობით, მდინარეებისა და მთის ნაკადულების სიუხვით, მცენარეულობით, სამკურნალო წყლებისა და მადნეულობის სიმდიდრით წარმოადგენს ისეთს სხვა დასხვაობას ფლორისა და ფაუნისას და მრავალფეროვნებას სურათებისას, რომლის მსგავსს მთელს ქვეყნიერებაზედ ვერსად შეხვდებით, პატარა შვეიცარიის გარდა. მიუწდომელი მწვერვალები იალბუზისა, ყაზბეგისა, ადაიხოხისა, უებისა, ტეპლისა და სხვა მრავალი მუდამ თოვლ-ყინულით დაფარულ მთებისა მოგვაგონებენ პოლიარულ ქვეყნების ბუნებას. მდიდარი ხეობანი და ჭალები, განსაკუთრებით მდინარე რიონისა, სავსეა საუცხოვო მცენარეებით და იგი კიდევ უკეთესი სანახავია იქ, სადაც კაცის ხელს კულტურული დაღი დაუმჩნევია, მაგალითად, შავის ზღვის პირებში. ამგვარ მთაგორიან და ჭალებიანი ადგილების და აქედგან წარმოშობილ მრავალგვარ ცვალებად ჰავის წყალობით, (რომელიც დამოკიდებულია სინოტივესა, სითბო-სინათლის და ქარის ქროლისაგან) კავკასიის ბუნება მცენარეულობის მხრივაც სხვა-და-სხვა მის ნაწილში სხვა და სხვანაირია, მაგალითებრ, იმას, რასაც სვანეთისა, ან რაჭა-ლეჩხუმის მიდამოებში შეხვდებით, ვერ ჰნახავთ ქართლ-კახეთის ველ-მინდვრებსა და მთა-გორებზედ; იმას, რაც შავი-ზღვის ნაპირების ქ გურია-სამეგრელოს სიმშვენიერეს შეადგენს, ამაოდ დაუწყებთ ძებნას ზემო იმერეთსა და ბაქო-განჯის გუბერნიებში. ცხელის ქვეყნების მცენარეები, მაგალითებრ, ბანანი, ჩაი, ზეთის ხილი, ჩინური ხურმა მშვენივრად იზრდება, პირველი — ტფილისის ბოტანიკურ ბაღში და რაც შეეხება დანარჩენს, იმისას ხომ პლანტაციების გაშენებას შეუდგენ ჩვენი გამაკულტურებელი მეურნეები და ამით ჩვენ ქვეყანას გაკულტურებას უქადიან...

ბუნების ამგვარ სიმდიდრეს, მართალია, უნდა მიეპყრო უცხო-ქვეყნელთა ყურადღება და ეს ასეც მოხდა. მხოლოდ ეს ყურადღება, როგორც ზევით ვთქვით, უფრო ერთ შემთხვევაში უბრალო ცნობის მოყვარეობით არის გამოწვეული და არა ნამდვილის სამეცნიერო აზრით. ამგვარი მიმართულება რომ აკლია, ეს იქედგანაც ჩანს, რომ პატარა შვეიცარია ამ მხრით სულ ფეხით შამთვლილია მეცნიერ მკვლევართაგან, რის შედეგიც ისაა, რომ ამ ქვეყანას ისე იცნობს ევროპა, როგორც თავისს დედა ქალაქს, ან პროვინციებს.

(დასასრული იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა



— გაზ. „Новости"-ს სიტყვით, მიწად მოქმედების სამინისტრომ გადასწყვიტა, წელს იმპერიის სხვა-და-სხვა ადგილას დააარსოს 15 ახალი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი.

— კურსკის გუბერნიაში ბელგოროდის მაზრაში დაარსებულ იქმნა სამი სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება, რომლის წევრებადაც მხოლოდ გლეხები უნდა იყვნენ. ასეთი საგლეხო სამეურნეო საზოგადოებანი პირველია რუსეთში. ამ საზოგადოებების ხელმძღვანელებად სამაზრო აგრონომები არიან. საწევრო ფული 20-დგან 50 კაპეიკამდეა.

— ამა 1899 წელს აზრადა აქვთ საშუალო აზიაში დააარსონ თარჯიმანთა განსაკუთრებული სკოლა.

— სამოსწავლო უწყებაში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ პროვინციებში არსებულ კერძო სასწავლებელთა კანტროლი გაძლიერებულ იქმნას. აზრადა აქვთ დააწესონ, რომ ამ სასწავლებლებში ეგზამენებს დაესწრნენ მთავრობის სასწავლებელთა მასწავლებელნი.

— როგორც „Рус. Вѣд." იუწყება, ტომსკის სატეხნოლოგო ინსტიტუტისათვის შენობის ასაგებად გადადებულ იქმნა 60 ათასი მანეთი.

— ვაჭრობისა და მანუფაქტურის დეპარტამენტმა აცნობა იმ სასწავლებლის მთავრობათ, რომელნიც ფინანსთა სამინისტროს ექვემდებარებიან, რომ წელს ამ სასწავლებლებში სწავლა 26 მაისამდე უნდა დამთავრდეს. ამ დღეს გამართულ უნდა იქმნას სალიტერატურო და სამუსიკო საღამო, რომლის დროსაც მოსწავლეებს დაურიგებენ ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოცემულ პუშკინის თხზულებათა კრებულს.

## უცხოეთი

—

**სერბია.** რუსეთის ელჩის ბ-ნ ჟადოვსკის წასვლამ სერბიიდგან დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია უცხო ქვეყნის გაზეთებში. გერმანული და მადიარული გაზეთები ჟადოვსკისა სდებენ ბრალს ამ საქმეში, ხოლო ავსტრიის სლავიანების გაზეთები-კი ამართლებენ მას და მილანს გამოჰყავთ დამნაშავედ. საფრანგეთის გაზეთებიც მხარს უჭერენ ჟადოვსკის. მაგალითად, „Temps"-ი ამტკიცებს, რომ რუსეთის წარმომადგენელი ძლიერ კარგს შვრებოდა, მეფედ ნამყოფ მილანთან უოკეთოდ ოფიციალურ დამოკიდებულებას რომ ერიდებოდა. ატეხილს უსიამოვნებას ხსენებული გაზეთი დიდს პოლიტიკურს მნიშვნელობას აწერს და ჰფიქრობს, რომ ჟადოვსკის უეცრად წასვლა ბელგრადიდგან ბოლოს მოუღებს სერბიის ეხლანდელ უწეს-რიგობას, და, შესაძლებელია, საერთაშორისო უთანხმოებაც გამოიწვიოსო.

თითონ სერბიის გაზეთები-კი ერთობ ცოტას ლაპარაკობენ ამ საგნის შესახებ, უთუოდ იმიტომ, რომ, ეხლანდელ მთავარ-მინისტრის გეორგიევიჩის წყალობით, ბევრ შინაგან საქმეებზედ სჯა-ბაასის უფლება ჩამოერთვა პრესას.

—

**ოსმალეთი.** როგორც იუწყებიან გაზეთები, ოსმალეთის მთავრობას განუზრახავს თოფები დაარიგოს ბალკანეთის ნახევარ კუნძულზედ, თავისს სამფლობელოში, ბაშიბუზუკებისა და ალბანელების შესაიარაღებლად. კონსტანტინოპოლიდგან მიღებულ ცნობებით, მიტროვიცის ოლქისათვის 40,000 თოფი დაუმზადებია მთავრობას. ეს უკანასკნელი ხმა თუ გამართლდა, ამბობენ, ყოველივე ეჭვს გარეშე, რომ ოსმალეთის მთავრობა გულმოდგინედ შესდგომია ალბანელ აინბარების შეიარაღებასაო.

—

**ბოლგარია.** ჩვენ უკვე გვქონდა მოხსენებული, რომ ბელგრადის სამეფო სასახლეში უცხო სახელმწიფოების წარმომადგენელთა შორის ბოლგარიის დიპლომატიური აგენტი რომ შენიშნა ოსმალეთის ელჩმა, სასწრაფოდ დანარჩენ წევრებით სასახლეს თავი დაანება და წავიდაო. ასეთი საქციელი პირველი არ არის ოსმალეთის დიპლომატიურ წარმომადგენელთა მხრივ ბოლგარიის აგენტების შესახებ, და აიხსნება იმით, რომ ბოლგარია ფორმალურად ოსმალეთის უზენაესს მფარველობის ქვეშ ითვლება. როგორც ამბობენ, ასეთს საქციელს ოსმალეთის წარმომადგენლები მომეტებულ ნაწილად იჩენდნენ თურმე ბელგრადსა და ბუხარესტში. მაგრამ რუმინიის სატახტო ქალაქში საქმე უკვე ბოლგარიის სასარგებლოდ ყოფილა გადაწყვეტილი. ბოლგარიის მთავრობა ეხლა ერთობ გულმოდგინედ მეცადინეობს მოახერხოს როგორმე, რომ პორტამ თავი დაანებოს წინააღმდეგობას იმის შესახებ, რომ ბოლგარიის დიპლომატიური აგენტებიც იყვნენ სხვა სახელმწიფოების წარმომადგენელთა კრებულში უცხო ქვეყნების ხელმწიფეების წინაშე წარდგომის დროს.

—

**ფილიპინები.** გაზეთების სიტყვით, გენერალი ოტისი, ამერიკის ჯარის მთავარ-სარდალი ფილიპინებზედ, არჩევს აძლევს თავისს მთავრობას, უოკეთესგვარი მოლაპარაკება მოსპოს ფილიპინელ მეამბოხეებთან და სასტიკი ღონისძიება იხმაროს მათ წინააღმდეგ. გენერალი გელი, ოტისის თანაშემწე, იერიშით მისულა მეამბოხეებზედ, მაგრამ ისევ უკან დაუხევია, რადგან მტერი ბევრად მეტი ყოფილა მის ჯარზედ. ილო-ილოში საქმის მდგომარეობა ისევ ისეა, როგორც წინად იყო. ქალაქი ტაგალების ხელშია, და გენერალი მილერი, რომელსაც ალყა უნდა შემოერტყა მისთვის, სასტიკად დამარცხებულა.

—

**ავსტრი-უნგრეთი.** ეგროპის დიდ სახელმწიფოთაგან ერთად-ერთი ავსტრი-უნგრეთი-ღა იყო დარჩომილი, რომელიც ჩინეთის სახელმწიფოს არ წაჰპოტინებია, მაგრამ ეხლა იმასაც განუზრახავს სხვებს არ ჩამორჩეს უკან. დარწმუნებით ამბობენ, რომ ავსტრიუნგრეთს გადაწყვეტილი აქვს, ჩინეთში იმანაც წილი დაიდოს სხვა სახელმწიფოების მსგავსად. სწორედ ამ განზრახვის შესასრულებლადო, ამტკიცებენ, გაჰგზავნა მან ჩინეთის წყლებში სამხედრო გემი „Kaiserin Elisobeth"-იო.

## სასამართლოს მატიანე

საერო სასწავლებლის ინსპექტორის ბოგდანოვისა და „Тифлисскій Листокъ"-ის რედაქტორის ქ. გ. ხაჩატუროვის საქმე.

დასასრული *)

მოწმედ დაბარებული იყო ბ-ნი ბოგდანოვი, რომელმაც სთქვა: ქ. შუშაში მე ამ ოცის წლის წინად ვმსახურებდი, ბათუმში-კი გადამიყვანეს 1881 წელს, როდესაც ქალაქი ჯერ ახლად შენდებოდა. იქ მრავალი მოსული მუშა ხალხი იყო. მე კარგად ვიცოდი, რომ ამ ხალხს შეძლება არა ჰქონდა შვილები სასწავლებლებში მიეცათ და ამიტომ განვიზრახე ფული შემეგროვებინა ადგილობრივ სკოლასთან ეგრედ წოდებულ დასამატებელ კლასების დასაარსებლად. ბევრის მეცადინეობის შემდეგ დავაარსე კლასები, რომლებშიაც 25 მოწაფე სწავლობდა. სამწუხაროდ სასწავლებლის შენობა დაიწვა 1896 წელს. კვლავ დაგვჭირდა სასწავლებლის შენობის აგება. შევაგროვე 7,000 მანეთი და ამ ფულით ავაგეთ ახალი შენობა. შენობის აგება ჩაბარებული ჰქონდა კომიტეტს (მოწმემ წარუდგინა სასამართლოს კომიტეტის ანგარიში).

შემდეგ გადამიყვანეს ახალციხეში და იქაც ჩემის წყალობით შეგროვდა 7,000 მანეთი და იქაც აშენდა მშვენიერი შენობა სკოლის დასამატებელ კლასებისათვის. შესაძლებელია, რომ ჩემი მოქმედება სრული არა ყოფილიყოს, იქმნება ზოგი რამ ისე არ არის გამართული, როგორც უნდა ყოფილიყო, მაგრამ, რაც გაკეთდა, ყოველსავე თვალ-ყურს ადევნებდა სასწავლებლის მთავრობა.

ეხლა გეკითხებით, განა შესაძლებელია, ამ მოღვაწეობისათვის კაცს გაზეთმა უწოდოს სახელი ქურდისა და იმისათვის სახალინზედაც კი ადგილი დაიშუროსო?

ბრალმდებლის თანაშემწე. ვთხოვ მოწმეს მითხრას, რათა ჰგონია, რომ გაზეთს სწორედ ისა ჰყავს სახეში და არა სხვა ვინმე.

მოწმე ბ. ბოგდანოვი. იმიტომ, რომ გაზეთში იმ წერილის დაბეჭდვის შემდეგ ნაცნობებმა წერილები მომწერეს, ძლიერა ვსწუხვართ, რომ გაზეთმა ეგრე ცუდად მოგიხსენიაო. იმიტომ კიდევ, რომ დუმბაძის საქმის გარჩევის დროს მოწმეთა შორის მხოლოდ მე ვიყავ ისეთი, რომელსაც უმსახურნია ბათუმში, ახალციხეში და შუშაში.

პალატის წევრი ოზტოვცევი. (მოწმეს ჰკითხავს), რად უჩივლეთ „ტფ. ფურც." რედაქტორს 1039 მუხლის ძალით და ამით წაართვით რედაქტორს შეძლება დაემტკიცებინა თვისი სიმართლე. თქვენ ხომ იცით, რომ არსებობს კიდევ მეორე მუხლი, რომლის ძალითაც ბრალდებულს უფლება ეძლევა მოწმეთა ჩვენებით დაამტკიცოს თვისი სიმართლე. თუ არ გსურთ, შეგიძლიანთ ამ კითხვაზე პასუხი არ მომცეთ.

ბოგდანოვი. იმიტომ, რომ მე მსურს ბ. ხაჩატუროვმა თავისი სიმართლე დაამტკიცოს საბუთის ქაღალდებით, როგორც მე ვამტკიცებ ჩემს სიმართლეს, თორემ თუ მოწმებზე მიდგა საქმე, ეცდებიან სახალინზეკი არა: სადმე კამჩატკაში გადამკარგონ.

ბრალმდებლის თანაშემწემ ბ. ივანოვმა სთქვა, რომ ხაჩატუროვის დანაშაული დამტკიცებულია და გთხოვთ 1039 მუხლის ძალით დასაჯოთო.

ვექილმა ი. გ. ხაჩატუროვმა სთქვა, რომ ბრალდებულის დანაშაული სრულებით არაფრით დამტკიცდა, რომ გაზეთში დაბეჭდილი შენიშვნა შეეხებოდა ბ-ნს ბოგდანოვს და ამიტომ გთხოვთ ბრალდებული მართლად იქმნას ცნობილიო.

სასამართლოს განაჩენი უკვე დაბეჭდილი გვქონდა „ივერიის" მე-50 №-ში.

—

12 მარტისთვის ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილებაში დანიშნულია განსარჩევლად ორი საყურადღებო საქმე აზნაურის ცოლის სოფიო კარახანოვისა, რომელსაც ბრალი ედება 1, რომ მტრობით წინადვე განიზრახა რა თავისის ქმრის ალექსანდრე კარახანოვისა და თავისის მამამთილის პორუჩიკის ივანე კარახანოვის მოკვლა, 1898 წლის 15 სექტემბერს გაღებულის ფანჯრიდგან თითოჯელ ესროლა მათ რევოლვერი, მაგრამ განზრახვა ვერ განახორციელა, რადგანაც ტყვიები კედელს მოხვდა; 2, იმისა, რომ ღამე, 10 ივლისს, 1898 წელს, ტფილისში, მან, სოფიო კარახანოვისამ, გაბრაზების დროს, ნავთი გადაასხა თავისს მამამთილს ივანე კარახანოვს, სცდილობდა მოკიდებულის ლამფით ცეცხლი წაეკიდებინა იმისთვის, რათა სიცოცხლეს გამოესალმებინა იგი, მაგრამ ეს განზრახვაც სისრულეში ვერ მოიყვანა. ბრალდებულს დაიცავს ნაფიცი ვექილი ტურკევიჩი.

## დამაკვირდი

ბოროტნი ბოროტს ქმნენ,
ბოროტად მოიხმარონ დრონი.

ვახტანგ VI

* * *

სოფელი... დღეს შენია და ხვალ სხვისა: დაგვალს ყველასთან სარებლად.

სულხან საბა

* * *

სამთავრო—ერის სახლია, კანონები—ამ სახლის მფარველი კედლები.

გეორგ ვებერი

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

იტალიის გაზეთები სწერენ, რომის პაპი იმდენად თავის-ნათქვამი კაცია, რომ მკურნალების რჩევა-დარიგებასაც-კი არავითარს ყურადღებას არ აქცევს და ხშირად ამბობს ხოლმე, ამდენს ხანს იმიტომა ვსცხოვრობ, რომ მკურნალების დარიგებას არ ვაქცევ ყურადღებასაო. ამას წინად პაპი გაცივდა და ხველება დააწყებინა. მკურნალმა ლაპონიმ წამალი მიუტანა. იმავე დღეს პაპისთან მთხოვნელები იყვნენ და პაპის ჩვეულებრივზე მომეტებული ლაპარაკი მოუხდა. მკურნალს ლაპონის უნდოდა მოეგონებინა პაპისთვის, რომ ბევრი ლაპარაკი გაწყენსო და რამდენჯერმე ჩაახველა. პაპიმ ამას არავითარი ყურადღება არ მიაქცია და უთხრა ლაპონის: „ჩემო კარგო მკურნალო,—მგონია თქვენ ჩემზედ მეტად გახველებთ, რატომ წამალს არა სვამთ"?

* * *

ერთს სამეცნიერო ჟურნალში სწერია, რომ ექვსის თვის წინად ლარამიისაგან 140 ვერსის სიშორეზედ უპოვნიათ ერთის უზარმაზარის ცხოველის ჩონჩხი. მეცნიერების აზრით, ეს ცხოველი წარღვნის უწინ არსებობდა. ამ ბუმბერაზ ცხოველის ჩონჩხის სიგძე 20 საჟენია, სიმაღლე 4 საჟენი; წონა—1,000 ფუთი. მეცნიერები დიდის მოუთმენლობით მოელიან ამ ჩონჩხის ფოტოგრაფიულს სურათს.

* * *

მისიონერმა შრეინემ დრეზდენში წაიკითხა ლექცია ინდოეთის დედაკაცის შესახებ. ეს მისიონერი სწერს, რომ ინდუსების კანონ-მდებლობა და სარწმუნოება დიდად ამცირებს დედაკაცს. ამ წიგნებში, მაგალითად, სწერია შემდეგი: „რა არის ყველაზე უფრო სასტიკი?——გველის გული.—უფრო სასტიკი?—დედაკაცის გული.—კიდევ უფრო სასტიკი! ქვრივი დედაკაცის გული.—რა არის ჯოჯოხეთის კარი!—დედაკაცი". ინდუსები თურმე ქალიშვილებს ძლიერ ადრე ათხოვებენ 9 თვიდგან მოყოლებული 10 წლამდე, გათხოვილი ბავშვი ქმრის დედმამის სახლში იზრდება. ისეც მოხდება ხოლმე, რომ 60 წლის კაცი 8 წლის ქალს ირთავს ცოლად. ეს ჩვეულება ყოფილა ქრისტეს დაბადების 500 წლის წინადაც და ეხლაც არის.

* * *

პარიჟის გამოფენაზე გამართული იქმნება მარეოგრამა, რომლის შესახებაც გაზეთებში სწერია შემდეგი. ამ მარეოგრამის დანიშნულება შემდეგია: მსურველი დაჯდება გემზე, მარეოგრამა ისეა გამართული, რომ ადამიანს ასე ჰგონია, გემი მიდისო, გაივლის ვენეციას, ნეაპოლს და კონსტანტინეპოლს. გემის თვლები ტრიალებს, ზღვა ღელავს, ქარი ქრის და გემი ქანაობს. მზე ჩადის, ცაზედ გამოჩნდება ვარსკვლავები, მერე თენდება და ადამიანი ხედავს ნეაპოლს. გემზე ამოდიან ქალები და ცეკვამენ. ტუნისში, ზღვის ნაპირას მდებარე ქალაქ სფაქსში გემზე ამოდიან მთელის ჰარამხანის ქალები. მოგზაურობა სულ ერთს საათს გასტანს.

## დეპეშა

5 მარტი.

**პეტერბურგი.** 6 მარტს ხელმწიფე იმპერატორმა, ხელმწიფე იმპერატრიცებმა მარიამ თეოდორეს ასულმა და ალექსანდრა თეოდორეს ასულმა, დიდმა მთავარმა მიხეილ ალექსანდრეს ძემ, დიდმა მთავრინამ ოლგა ალექსანდრეს ასულმა, დიდმა მთავარმა ალექსანდრე მიხეილის ძემ უავგუსტოესის მეუღლით ანიჩკინის სასახლის ეკკლესიაში წმ. საიდუმლო ზიარება მიიღეს. ხელმწიფა იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასული უავგუსტოესის ყრმებით, დიდის მთავრით მიხეილ ალექსანდრეს ძით და დიდის მთავრინით ოლგა ალექსანდრეს ასულით, ალექსანდრე—ნეველის ლავრაში ბრძანდებოდა.

**კიევი.** კუმბარის შაქრის ქარხნის ფირმამ სესხის გადახდა შესწყვიტა. დანიშნულია ადმინისტრაცია. როგორც ისმის, პასივი ერთ მილიონამდეა.

**მარსელი.** დილით აფეთქება მოხდა პატრონების საწყობში, რომელიც წმ. კარლოსის ყაზარმების გვერდით არსებობს. სამი ჯარის კაცი დაშავებულია. საწყობის სახურავი 20 მეტრზედ არის გადასროლილი.

**კონსტანტინეპოლი.** მოვიდნენ პრუსიის გვარდიის პოლკის არტილერიის პოლკოვნიკი გეინცე და პორუჩიკი სტურძა (რუმინიის მინისტრ-პრეზიდენტის შვილი), რომელთაც იმპერატორ ვილჰელმისაგან საჩუქრად მიართვეს ხონთქარს მსწრაფლ მსროლელი ზარბაზანი.

**ნიუიორკი.** შუა ქალაქში 40 წუთის განმავლობაში ცეცხლისაგან გადაიბუგა სასტუმრო „ვინზორი". ჰფიქრობენ, რომ 25 კაცი უნდა იყვნეს დაღუპულიო, ბევრი დაშავებულა.

7 მარტი

**სოფია.** მთავარმა გუშინ ხელი მოაწერა ბრძანებას საეროვნო კრების დათხოვნისა და 25 აპრილს ახალ არჩევნების შესახებ.

**პარიჟი.** საზღვაო ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ კამათის განახლებისათანავე, პიუმ სთქვა, რომ ოქტომბერში მომხდარი ამბები განსაკუთრებით გვიმტკიცებს საჭიროებას, მზათ ვიყოთ ზღვაში საომრადო. ინგლისი განუწყვეტლივ აძლიერებს საზღვაო ბიუჯეტს, და სამთა კავშირის საზღვაო ბიუჯეტიც აღემატება საფრანგეთისასო. უნდა ვცდილობდეთ, რათა განსხვავება არ მატულობდეს საზღვაო ძლიერების მხრივ საფრანგეთსა და ინგლისს და განსაკუთრებით სამთა კავშირს შორისო. შემდეგ მოაგონა-რა პალატას ამას წინად ინგლისთან მომხდარ უსიამოვნებების შესახებ, ორატორი შეუდგა

*) იხ. „ივერია" № 50.

ფლოტის მდგომარეობის გამოკვლევას, შეადარა იგი უცხო სახელმწიფოთა ფლოტს და ის დასკვნა გამოიყვანა, რომ საფრანგეთს არა აქვს საკმაო ფლოტი და, მთავრობამ საჭირო ფული უნდა მოსთხოვოს ქვეყანას,—რომელიც, ცხადია უარს არ ეტყვის,—და ეს ფულები მოახმაროს საქმეს ჩქარა და კარგადო. (ტაშის ცემაა). რობერტიმ პასუხი გასცა და სთქვა, რომ საფრანგეთი ხმელეთის სახელმწიფოა და, ამიტომ მისთვის საკმარისია იმოდენა ფლოტი ჰყავდეს, რამოდენაც სამთა კავშირსო.

ლუბემ, რომელსაც გარს ეხვივნენ დიუპუი, დელკასე და სამხედრო და სამოქალაქო კაბინეტთა წევრები, ნაშუადღევს მიიღო დიპლომატიურ კორპუსის წევრები, რომელთაც მიულოცეს მას თავიანთ მთავრობის მაგიერ რესპუბლიკის პრეზიდენტად არჩევა. ინგლისის ელჩი ავადმყოფობის გამო არ დასწრებია, ისე როგორც გრაფი მიუნსტერი, რომელიც კანაში იმყოფება. მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა ავსტრიის ელჩმა. „ჩვენ ვერ დავივიწყებთო, სთქვა ელჩმა, იმ დიდს როლს, რომელსაც საფრანგეთი ასრულებდა კაცობრიობის ისტორიაში. უფრო დიდის ნდობით ვიყურებით წინ, იმიტომ რომ საფრანგეთის ერმა ხელახლად დაამტკიცა, რომ იგი უცვლელად ემსახურება მშვიდობიანობისა და წინმსვლელობის საქმესაო“. ელჩი შეეხო შემდეგ 1900 წლ. გამოფენას, შეაქო პირადად ლუბე, მოიხსენია იმისი საკუთარი სიტყვები და სთქვა, რომ სენატის პრეზიდენტად არც-კი ყოფილა იმაზედ უფრო ღირსეული და გამოცდილი კაციო. დასასრულ ელჩმა მოიხსენია ფორი, „რომელიც ასეთის პატივისცემით განაგებდა საფრანგეთის ბედ-იღბალს“. ლუბემ მადლობა გადაუხადა ელჩებს, შემდეგ ესაუბრა თითოეულ ელჩს ცალკე, რომელთაც თავიანთ საელჩოების წევრები წარუდგინეს მას.

პალატა. ადმირალმა რიენიემ გრძელს სიტყვაში საყვედური გამოუცხადა ლოკრუას, რომ ის სცდილობს, ზოგიერთმა პირმოთნე კაცებმა მოიწონონ მისი მოქმედება. „ლოკრუასაო,—სთქვა მან,—სრულებით არ შეუცვლია საქმის მდგომარეობა. მისმა სიტყვებმა მხოლოდ დაუკარგეს პატივისცემა ჩვენს ფლოტსაო“. (წინააღმდეგი ხმაურობაა მარცხნივ). ლოკრუას პროგრამა გაარჩია ორატორმა, განსაკუთრებით დასცინა წყლის ქვეშ მოსიარულე ნავს და მტკიცება დაიწყო, რომ ჯავშნიან გემების აშენებაა საჭიროვო. ის წინააღმდეგობას უცხადებს ზოგიერთ ჟურნალ-გაზეთებს, რომელნიც მხედრობას და ფლოტს ჰკიცხავენ; თავის მხრივ ჰკიცხავს ლოკრუას სამოქალაქო თანამშრომლებს ფულების ალმატებისათვის. სიტყვის გაგრძელება იქნება ორშაბათს. კრება დაიშალა.

**ბურჟი.** აფეთქება უცაბედად მოხდა, და არა ბოროტ-გამზრახველთაგან.

**ბერლინი.** იმპერატორი სახლობით სადილად ბრძანდებოდა რუსეთის ელჩთან. დიპლომატიურ კრებულის წევრთა გარდა, იყვნენ კანცლერი, სტატს-სეკრეტარი ბიულოვი, გოფმარშალი ეილენბურგი, სამხედრო კაბინეტის უფროსი განკე და პრინცი მაქსი ბადენისა.

8 მარტი

**პეტერბურგი.** 7 მარტს ხელმწიფე იმპერატორმა ინახულა პეტერბურგის მხატვართა სურათების გამოფენა.

7 მარტს ხელმწიფე იმპერატორმა მიიღო საზამთრო სასახლეში ახლად დანიშნულნი ელჩნი ავსტრიისა და ჩრდილო-ამერიკისა.

**ასხაბადი.** დღეს მოვიდა კომისია, რომელმაც უნდა ჩაიბაროს იმიერ-კასპიისა და სამარყანდი-ანდიჟონის რკინის გზები. კომისია 9 კაცისაგან შესდგება. თავმჯდომარედ არის ინჟენერი კეტრიცი.

**რეველი.** კინდავის გემი „Nowsee“, ავურით დატვირთული, ნარკენის კუნძულ მახლობლად დაიღუპა. ხალხი გადარჩა.

**პარიჟი.** „Daulois“ სწერს, რომ სალსბერისა და კამბონის ბორის მოლაპარაკებით ისე გათავდა საქმე, როგორც სასურველი იყო საფრანგეთისათვის.

ტირაჟი

1 მარტს მომხდარ ტირაჟში ხუთას მანეთის მოგება ხვდა შემდეგის ნომრების ბილეთებს:

| №№ სერიისა. | №№ ბილეთისა. | №№ სერიისა. | №№ ბილეთისა. | №№ სერიისა. | №№ ბილეთისა. |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 1,190 | 18 | 11,665 | 34 | 5,274 |
| 1 | 1,989 | 18 | 14,910 | 34 | 5,348 |
| 2 | 2,000 | 18 | 17,040 | 34 | 12,927 |
| 2 | 7,859 | 19 | 3,955 | 34 | 19,725 |
| 2 | 9,694 | 19 | 7,945 | 35 | 3,190 |
| 2 | 10,491 | 19 | 11,190 | 35 | 5,060 |
| 2 | 14,163 | 19 | 12,739 | 35 | 7,330 |
| 3 | 1,884 | 19 | 13,531 | 35 | 10,427 |
| 3 | 9,675 | 19 | 14,622 | 35 | 11,501 |
| 3 | 15,794 | 19 | 16,761 | 35 | 19,986 |
| 4 | 885 | 19 | 18,392 | 36 | 2,692 |
| 4 | 2,176 | 20 | 7,465 | 36 | 5,588 |
| 4 | 2,282 | 20 | 9,028 | 36 | 6,137 |
| 4 | 16,559 | 20 | 9,166 | 36 | 17,141 |
| 5 | 20 | 20 | 9,810 | 37 | 700 |
| 5 | 11,149 | 20 | 19,970 | 37 | 1,126 |
| 5 | 11,727 | 21 | 3,805 | 37 | 5,278 |
| 5 | 12,048 | 21 | 11,766 | 37 | 17,122 |
| 6 | 3,100 | 21 | 15,275 | 38 | 2,267 |
| 6 | 6,915 | 21 | 17,310 | 38 | 5,917 |
| 6 | 8,961 | 22 | 2,546 | 38 | 16,800 |
| 6 | 10,956 | 23 | 15,862 | 38 | 17,630 |
| 6 | 13,427 | 23 | 18,908 | 38 | 19,306 |
| 6 | 15,636 | 24 | 14 | 39 | 3,587 |
| 7 | 447 | 24 | 266 | 39 | 3,886 |
| 7 | 1,230 | 24 | 2,052 | 39 | 6,703 |
| 7 | 4,864 | 24 | 2,841 | 39 | 8,522 |
| 7 | 5,225 | 24 | 5,919 | 39 | 11,392 |
| 7 | 7,379 | 24 | 12,801 | 40 | 10,033 |
| 7 | 7,552 | 24 | 13,121 | 40 | 12,391 |
| 7 | 11,350 | 25 | 9,178 | 40 | 18,176 |
| 8 | 5,424 | 25 | 10,476 | 41 | 2,505 |
| 8 | 16,237 | 25 | 11,386 | 41 | 5,697 |
| 8 | 18,047 | 25 | 12,499 | 41 | 6,976 |
| 9 | 5,912 | 25 | 17,224 | 41 | 11,701 |
| 9 | 11,490 | 25 | 17,479 | 41 | 12,174 |
| 9 | 12,207 | 25 | 19,879 | 41 | 19,662 |
| 9 | 13,316 | 26 | 2,039 | 42 | 1,466 |
| 9 | 18,102 | 26 | 3,381 | 42 | 2,261 |
| 10 | 1,072 | 26 | 3,835 | 42 | 3,507 |
| 10 | 1,301 | 26 | 8,813 | 42 | 4,855 |
| 10 | 3,950 | 26 | 9.896 | 42 | 5,952 |
| 10 | 7,234 | 27 | 1,503 | 42 | 11,091 |
| 10 | 7,434 | 27 | 1,768 | 42 | 11,876 |
| 10 | 9,236 | 27 | 9,361 | 42 | 17,146 |
| 10 | 9,931 | 27 | 14,056 | 42 | 17,713 |
| 10 | 10,456 | 27 | 18,312 | 43 | 3,996 |
| 10 | 10,712 | 27 | 19,704 | 43 | 5,862 |
| 10 | 12,638 | 28 | 5,829 | 43 | 7,101 |
| 10 | 13,909 | 28 | 8,044 | 43 | 8,275 |
| 10 | 13,993 | 28 | 9,309 | 43 | 9,935 |
| 10 | 16,323 | 28 | 10,691 | 44 | 734 |
| 11 | 5,789 | 28 | 15,606 | 44 | 3,155 |
| 11 | 8,233 | 29 | 210 | 44 | 5,070 |
| 11 | 9,092 | 29 | 1,357 | 44 | 10,385 |
| 11 | 11,188 | 29 | 12,733 | 44 | 13,131 |
| 12 | 5,185 | 29 | 18,402 | 44 | 16,868 |
| 12 | 5,546 | 29 | 19,251 | 44 | 18,992 |
| 12 | 6,790 | 30 | 1,324 | 45 | 125 |
| 12 | 13,631 | 30 | 1,634 | 45 | 2,822 |
| 12 | 14,368 | 30 | 4,653 | 45 | 3,508 |
| 13 | 5,465 | 30 | 6,630 | 45 | 4,791 |
| 13 | 7,444 | 30 | 7,814 | 45 | 8,665 |
| 13 | 16,163 | 30 | 9,445 | 45 | 8,976 |
| 14 | 83 | 30 | 10,963 | 46 | 349 |
| 14 | 440 | 30 | 11,187 | 46 | 5,703 |
| 14 | 4,315 | 30 | 13,029 | 46 | 7,251 |
| 14 | 10,529 | 31 | 557 | 46 | 8,170 |
| 15 | 2,714 | 31 | 1,521 | 46 | 19,687 |
| 15 | 4,157 | 31 | 1,961 | 47 | 560 |
| 15 | 4,568 | 31 | 3,234 | 47 | 5,687 |
| 15 | 6,141 | 31 | 3,846 | 47 | 13,369 |
| 15 | 14,017 | 31 | 4,133 | 47 | 15,569 |
| 15 | 16,506 | 31 | 5,210 | 47 | 16,832 |
| 16 | 390 | 31 | 7,458 | 47 | 19,050 |
| 16 | 594 | 31 | 15,662 | 48 | 3,751 |
| 16 | 1,888 | 31 | 19,486 | 48 | 7,674 |
| 16 | 13,593 | 31 | 19,620 | 48 | 14,507 |
| 16 | 17,200 | 32 | 4,455 | 49 | 9,455 |
| 17 | 2,525 | 32 | 8,391 | 49 | 10,282 |
| 17 | 8,003 | 32 | 9,073 | 49 | 18,880 |
| 17 | 9,654 | 32 | 10,199 | 50 | 1,594 |
| 17 | 11,663 | 33 | 6,431 | 50 | 5,056 |
| 17 | 14,514 | 33 | 13,768 | 50 | 13,655 |
| 18 | 671 | 33 | 15,858 | 50 | 14,228 |
| 18 | 3,517 | 33 | 19,857 | 50 | 17,350 |
| 18 | 10,940 | 34 | 1,309. | | |

გაბათილებულ იქმნენ ბილეთის სერიები.

9,599, 2,666, 2,626, 627, 19,622, 602, 7,524, 3,212, 5,666, 12,970, 10,591, 11,870, 2,147, 886, 8,132, 4,288, 1,429, 13,435, 12,241, 10,147, 13,811, 4,181, 8,748, 2,976, 11,374, 16,638, 3,293, 10,435, 782, 3,330, 15,775, 10,139, 8,577, 14,193, 11,495, 9,686, 15,657, 3,482, 11,751, 4,537, 9,675, 18,616, 14,613, 19,255, 12,961, 6,379, 3,599, 7,863, 1,911, 7,916, 6,473, 14,899, 15,200, 2,094, 9,836, 84, 15,184, 19,386, 1,763, 19,538, 2,832, 10,495, 5,057, 6,189, 11,571, 8,447, 7,477, 18,554, 17,584, 18,552, 9,114, 5,583, 499, 6,087, 3,611, 1,629, 7,562, 10,633, 6,093, 14,844, 14,635, 2,922, 6,217, 6,339, 11,161, 11,862, 17,220, 7,828, 5,270, 6,297, 12,347, 3,073, 8,093, 15,496, 2,174, 18,246, 1,451, 2,780, 14,087, 15,651, 19,620, 2,911, 9,036, 11,560, 9,297, 14,593, 12,643, 19,069, 3,933, 19,324, 5,125, 3,320, 6,110, 5,076, 5,225, 10,873, 18,430, 2,944, 16,448, 17,146, 3,803, 1,202, 19,736, 12,260, 298, 13,275, 880, 19,490, 14,945, 4,597.

პეტერბურგის ბირჟა, 5 მარტი

| | მყიდველისა. მან. კ. | | გამყიდველისა. მან. კ. | | გარიგებისა. მან. კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 5%-ნი მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | — | „ | — | „ | 223¾ |
| 3½% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . . | 95⅞ | | — | „ | — „ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა . | 101 | | — | „ | |
| 5% იმავე ბანკისა. | 100 | | — | „ | — „ |
| 5% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | 100 | | — | „ | — „ |
| 4½% იმავე ბანკისა | — | „ | 100 | „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . . | 99¾ | | — | „ | — „ |
| 4½% იმავე საზოგადოებისა. . . | 98½ | | — | „ | — „ |
| 5% პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | 286 | | — | „ | — „ |
| 5% მეორე შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი | — | „ | — | „ | 255 |

# ახალი წიგნები

რედაქციამ მიიღო: 1, „ცხოვრება წმ. მოწამისა ეკატერინესი“, 2, „ფაბიოლა ანუ უწინდელი ქრისტიანები“ და 3, „ცხოვრება წმიდისა ქალწულ-მოწამისა პარასკევასი“ სამივე წიგნი მეორედ არის გამოცემული უდაბურ წყალ-წმინდის ძმობის მიერ.

## წერილი რედაქციის მიმართ

გულითადს მადლობას ვუძღვნი დიაკვანს ბ-ნ პეტრე ლუტიძეს, რომელმაც ჩემდა რწმუნებულ თხილთა წყაროს საეკკლესიო სამრევლო სკოლის წიგნთ-საცავს შემოსწირა: 1) „Святые равноапостольные царь Константинъ и Матерь его Царица Елена“, 2) „Святый Апостолъ Петръ“, 3) „Руководство для обучающихъ пѣнію“.

თუ სხვა ვინმე კიდევ აღმოჩნდება გულშემატკივარი და ქართულ-რუსულ წიგნაკებს არ დაიშურებს თხილთა წყაროს სკოლის პატარა მკითხველებისათვის, ვთხოვ შემოწირულება ამ ადრესით გამოგზავნოს: „Квирилы—Чхари. свящ. Тхилтацкаровской церкви Михаилу Буачидзе.

მღვდელი მიხეილ ბუაჩიძე


# განცხადებანი

**ვკისრულობ** ტაქსაციას და დაფასებას ტყეებისა, დაფასებას სოფლის მამულის წარმოებისა, რაც შეიძლება ჩქარა ვასრულებ საქმეს სესხის გატანისას როგორც სამეურნეო, ისე სატყეო სარგებლობისათვის. ალექსანდრე გრიგოლის ძე სნეჟკოვი. ლაბორატორიის ქუჩა, სახლი № 26, ტელეფონი № 567. (20—3—15).



როიალები



პიანინო



ფის-გარმონიები, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლარნეტები, ნოტები, სიმები და სხვ. და სხ.



ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

ახალი პრეისკურანტები მუქთად იგზავნება,

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო იარაღებისა ბ. მ. მირიმანიანისა

музыкальное депо Б. М. МИРИМАНЯНА.

Тифлисъ. Дворцовая ул. (24—6.—6)

# იყიდება იაფად და პირიანად

სხვა და-სხვა საგალანტერეინო საქონელი: ქოლგები, ხელთათმანები, მარაოები, ლენტები, არშიები, ჩულქები, კორსეტები, პირ-ბადეები და ქალისა და კაცის სხვა სამკაული

# შკაფი № 21.

თამამშევის ქარვასლაში, ფორაქოვის მაღაზიის პირდაპირ.

ყველა საქონელი კარგის ღირსებისაა.

(20—6.—15) ი. ნიკოლაშვილი



# თესლეულობათა დეპო



გ. გ. ლარშესი

(არსებობს 1872 წლიდგან)

მადათოვის კუნძულზედ, მაღაზია № 47.

## მიღებულია ახალი თესლეულობა

საბოსტნე, სხვა-და-სხვა ყვავილებისა და ბალახეულობათა. პრეისკურანტი მსურველს უსასყიდლოთ გაეგზავნება. (10—22—9)